



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

მანანა მოისწრაფიშვილი

{თბილისი, 2020}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:

სახე:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

- გეგმიური
- არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	50	30	21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 08 სექტემბრის N797535 ბრძანების საფუძველზე, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებთან, ასევე, ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის ე.ბ) კომპონენტთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება. მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი გახლდათ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომაზე განხილული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხი, სადაც საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის განხორციელების შესახებ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები ნამდვილად სრულდება და პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში ნამდვილად ხელმისაწვდომია ის აღჭურვილობა, რაც პრაქტიკის ობიექტებზეა განთავსებული, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფს ცენტრის გადაწყვეტილებით დაევალა ასევე 5.2 კომპონენტის შემოწმება (საკითხის შინაარსი აღწერილია 5.2.3.3 ინდიკატორში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 სექტემბერს. დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის ბრძანება და დღის წესრიგი გაეცნოთ უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუბარი შეეხო მათ მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატიას პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით. შემოწმდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხი. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, მასთან დაკავშირებული დოკუმენტები (მათ შორის ბიბლიოთეკა). სასწავლო პროცესის ორგანიზების და სასწავლო მიზნების მიღწევის შემოწმების მიზნით, განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკა, განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. ექსპერტების მიერ შემოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსები, ინფრასტრუქტურა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტები, შემოწმდა საინფორმაციო რესურსები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ექსპერტები გავესაუბრეთ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1) ჰსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) ჰსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის C გარემოს აღჭურვილობის ნაწილი განლაგებულია პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე. რეკომენდირებულია C გარემოს აღჭურვილობის ერთ სივრცეში - სასწავლებლის ბაზაზე მოთავსება.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია აკადემიის მიერ. C გარემო სრულადაა აღჭურვილი.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IX. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანება N2/99 (19.07.2019) - „საგანმანათლებლო საქმიანობაში და დაწესებულების მართვაში საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით კომპიუტერების განაწილების შესახებ“. ბრძანების თანახმად შექმნილი განაწილების სქემის მიხედვით ადმინისტრაციისთვის გამოყენებულია 14, ხოლო სასწავლო პროცესის წარმართვისათვის 86

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპიუტერი, რომლებშიც საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალური პროგრამებია ჩატვირთული. დათვალიერების შედეგად, დადგინდა, რომ აკადემიას აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა ხელს უწყობს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატური. ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით (2019 წლის 17 ივლისი N7/529). ხელშეკრულების თანახმად პროვაიდერი „ახალი ქსელები“ უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის ინტერნეტის მომსახურებას. ხელშეკრულება უვადოა და ყოველი ახალი წლის დადგომის შემდგომ ავტომატურად ახლდება.

5.2.1.2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

აკადემიამ წარმოადგინა დოკუმენტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“ რომელიც შემუშავებულია კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერის მონაწილეობით და დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N2/56 ბრძანებით. რეგულაციით განსაზღვრულია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები; საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასება და IT რისკების მართვა; კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის ინსტრუქცია; ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი. დოკუმენტის თანახმად ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი და რომ პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის დასაშვებ დონეზე დაყვანის მიზნით, პერიოდულად აანალიზებს რისკებს და განსაზღვრავს რეაგირების არქონის შემთხვევაში შესაძლო უარყოფით მოვლენებს.

აკადემიის IT მენეჯერთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. მისივე განმარტებით, კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით. იდენტიფიცირებულია დაწესებულებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგილები და უზრუნველყოფილია ამ ინფორმაციის დაცულობა.

5.2.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - პირის ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოხატული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. კოლეჯი აგროვებს მხოლოდ ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნებისთვის ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა გზებით. კოლეჯი იყენებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებში საგანმანათლებლო პროცესის მართვის, შეფასებისა და კონკრეტული პირის დასაქმებისთვის შესაბამისობის დადგენის დროს, ხელშეკრულების გაფორმების დროს. მონაცემთა დამუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

ექსპერტები გავეცანით აკადემიის პერსონალის პირად საქმეებს, რომლებშიც განთავსებულია ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის თანხმობას ან უარს პირადი მონაცემების დამუშავებასა და გასაჯაროების შესახებ.

5.2.1.4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კოლეჯის საქმიანობის ხარისხის შენარჩუნების, განვითარებასა და გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები და განსაზღვრულია რესურსების უწყვეტი შეფასება,

აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/ თანამდებობის პირთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/ დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სამსახური ახორციელებს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას. რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს მოიცავს კითხვარის ფორმებს.

ექსპერტები დეტალურად გავაცანით წარმოდგენილ შევსებულ კითხვარებს, რომლებიც ემსახურებოდა მასწავლებლების, სტუდენტების და ადმინისტრაციის გამოკითხვას სხვადასხვა მიმართულებით. კითხვარებით შეფასდა როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების, ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, კითხვარების დამუშავების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. კითხვარების დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ დადგინდა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 85% გამოხატავს კმაყოფილებას არსებული პროცესების მიმართ. კითხვარებზე მუშაობა მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, რომელიც google.drave -ის სისტემაში google.Forms -ზეა წარმოდგენილი.

5.2.1.5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

აკადემიის რექტორის მიერ 2018 წლის 08 ივნისის ბრძანებით N 2/48 დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი. აკადემიაში კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის; დაწესებულებას დარეგულირებული აქვს ტექნიკით სარგებლობის პროცესი ორი მიზნით: გამოყენების მიზნობრიობა და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობა. ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) სარგებლობა შესაძლებელია თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და სტუდენტებისათვის.

5.2.1.6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ჩვენ მიერ აკადემიაში არსებული რესურსების დათვალიერების და შემოწმების შედეგად ირკვევა - დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული მართვის პროცედურები, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან „ახალი ქსელები“ და შესაბამისად უზრუნველყოფილია ინტერნეტით (ასევე უკაბელო ინტერნეტით). დაწესებულებაში განთავსებულია სულ 89 კომპიუტერი, მათ შორის 67 სტუდენტებისათვის, 10 მასწავლებლებისათვის და 12 ადმინისტრაციისათვის. აკადემიას აქვს 12 პრინტერი. IT მენეჯერთან გასაუბრების და ასევე დათვალიერების შედეგად დადგინდა, IT ვირუსისგან დამცავი სისტემის არსებობა.

აკადემიაში კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ხორციელდება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით, ამისთვის დაწესებულებაში პერსონალისთვის მოქმედებს ელ-ფოსტის მისამართები, აკადემიაში შექმნილია სოციალურ ქსელში ერთიანი დახურული ჯგუფები პროფესიული სტუდენტებისთვის (პროგრამების მიხედვით) და პერსონალისათვის ინფორმაციის გაზიარების მიზნით. აკადემია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურებას, ასევე კონსულტაციას ელექტრონული ფოსტის/ კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების გამოყენების საკითხებში. დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს მის ხელთ არსებული სისტემის მეშვეობით, რაც დასტურდება ინფორმაციების განთავსებით/ გაგზავნის ფაქტებით. აკადემია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას, ასევე ახორციელებს ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა Zoom -ის პლატფორმით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
- ინტერნეტ პროვაიდერთან „ახალი ქსელები“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და სხვა ელექტრონული სისტემა(Google Drive, მესენჯერჯგუფები);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- დაწესებულების პერსონალისათვის დომეინით შექმნილი ელფოსტები;
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პსდ-ს სერვისებისათვის გამოიხნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

აკადემიის რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N 2/56 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების განხორციელების პრობებს, აღნიშნული წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდება ამ წესების დაცვით, ჟურნალში და ელექტრონულად. ბეჭდური დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. აკადემიას აქვს ელექტრონული საქმისწარმოება, დაწესებულების ტერიტორიული ერთეულების(ფილიალების) მიზნებისათვის უზრუნველყოფილია საქმისწარმოების ერთიანი მიდგომების გამოყენება.

5.2.2.2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

.აკადემია იყენებს საქმისწარმოების/ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას, ასევე დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა Google-ის, Zoom -ის, Teams-ის პლატფორმა.

5.2.2.3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

აკადემია სრულყოფილად ავსებს ინფორმაციას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში. გამოყოფილია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელთან გასაუბრების შედეგებით და რეესტრის მონაცემების გადამოწმებით დგინდება ინფორმაციის სრული და დროული შევსება.

5.2.2.4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების და რიგი კორესპონდენციების გაგზავნის ვადების - მაგ. თვითშეფასების ანგარიში, ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ცენტრისთვის - შემოწმების შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ აკადემია დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე დაინტერესებულ პირებს, აკადემიას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პროცედურები და ვადები. ანგარიშგებების ვადები განისაზღვრება ინდივიდუალურად, ეს შეიძლება იყოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენა, ან კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები შესაბამის უწყებებთან წარსადგენი ანგარიშები, რომელთა ვადებს ადგენენ შესაბამისი უწყებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესი დამტკიცებული 2020 წლის 23 ივლისის რექტორის 2/56 ბრძანება ;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არ შეესაბამება

არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიამაც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ექსპერტების მიერ განხორციელდა აკადემიის ვებგვერდის <http://bta.edu.ge/> და სოციალური ქსელის გვერდის <https://www.facebook.com/bta.edu.ge> დათვალირება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების ქრილში.

18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ორივე გვერდი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას, კერძოდ: საკომუნიკაციო პლატფორმას და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს დაინტერესულ პირთათვის ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდებას.

ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა; ვებგვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალზე, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, დაწესებულების წლიური ანგარიშები წლების მითითებით, ინფორმაცია სასწავლო შესაძლებლობების და სერვისების შესახებ. ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქციაც.

5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

აკადემიის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი შესაბამისად აკადემიას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც <http://bta.edu.ge/en/home> ; აკადემიის ინგლისურენოვან ვებ გვერდზე ინგლისურ ენაზე განთავსებული აქვს ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისათვის, რაც მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.

5.2.3.3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2020 წლის 17 ივლისს დაწესებულების სოციალური ქსელის სივრცეში (ფეისბუქ გვერდზე) გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია აკადემიის მიერ ინტეგრირებული პროგრამების (საოფისე საქმე და ვებტექნოლოგიები) განხორციელების შესახებ, თუმცა დაწესებულებას იმ დროისათვის არ ჰქონდა ავტორიზაციით მოპოვებული ამ პროგრამების განხორციელების უფლება და ამავე სარეკლამო ტექსტში მითითებული იყო პროფესიულ სტუდენტთათვის სამხედრო ვალდებულებებისაგან განთავისუფლების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებამ ამ სარეკლამო ტექსტის განთავსებიდან რამდენიმე საათში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიიღო ოფიციალური წერილი ზ/აღნიშნული სარეკლამო ტექსტთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც მითითებული ინფორმაციების გამოქვეყნება ჩაითვალა სტანდარტის დაარღვევად, ვინაიდან იყო საზოგადოების შეცდომაში შემყვანი. აკადემიამ ცენტრიდან წერილის მიღებისთანავე მოახდინა შესაბამისი რეაგირება, წაშალა გამოქვეყნებული ინფორმაცია და აცნობა ცენტრს ამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგის ვიზიტის დროს გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელს და ადმინისტრაციას, აღნიშნული საკითხის შესახებ, რათა მიეღო განმარტება, თუ რატომ განხორციელდა აღნიშნული ქმედება. დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა შემდეგი გარემოება: დაწესებულების მიერ აღნიშნული სარეკლამო ტექსტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მრავლად ქვეყნდებოდა პროფესიული სტუდენტებისათვის სამხედრო ვალდებულების გადავადების შესახებ ინფორმაციები და კოლეგების მხრიდან მისალოცი ტექსტები, რამაც გამოიწვია აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერის შეცდომაში შეყვანა, რომელმაც სარეკლამო ტექსტში გაავრცელა აღნიშნული დაუზუსტებელი ინფორმაცია, რექტორთან შეთანხმების გარეშე, ვინაიდან რექტორი იმ დღეს იმყოფებოდა მივლინებით ქ. ბორჯომში კარიტასის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე. რაც შეეხება ინტეგრირებული პროგრამების შესახებ ინფორმაციას, მისი გავრცელების მიზანი იყო საზოგადოებისთვის ღირებული და უპრეცედენტო მოვლენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა ტექსტის მეორე ნაწილში დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის განთავსებისას, განხორციელდა სარეგისტრაციო ლინკის მიბმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლინკზე არ იყო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებული და შეაბამისად მსურველი რეგისტრაციას ვერ განახორციელებდა. აღსანიშნავია ასევე, რომ მსგავსი ინფორმაცია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ განთავსებულა, რომელიც ასევე მკაცრად კონტროლდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. აკადემიის რექტორი და თანამშრომლები აცნობიერებენ აღნიშნული

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საკითხისადმი მეტი ყურადღების და პასუხისმგებლობის გამოჩენის საჭიროებას, მათი განმარტებით ამ ფაქტის შემდეგ განხორციელდა არაერთი შეკრება და თითოეული თანამშრომლის ინფორმირებულობა მსგავსი საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით, რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერს მან მიიღო გაფრთხილება.

ვიზიტის დროს, აკადემიის ვებ გვერდის და სოციალური ქსელის გვერდის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაცია აქვს განთავსებული.

5.2.3.4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

აკადემიის კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის და ასევე დაწესებულების მიღწევების, პარტნიორების, განხორციელებული პროექტების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. დაწესებულების ვებგვერდზე ინახება სხვადასხვა წლის კატალოგების არქივი.

5.2.3.5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

აკადემიის კატალოგი განახლებულია 2020 წელს, პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ვებ გვერდზე განთავსებულია წინა წლების კატალოგების არქივი (2014 -2020წწ).

5.2.3.6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აკადემიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება არსებული საკომუნიკაციო არხები. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი დამტკიცებული 2020 წლის 23 ივლისის რექტორის ბრძანებით N 2/56. აკადემია საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მიიღება მხედველობაში დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი დამტკიცებული 2020 წლის 23 ივლისის რექტორის ბრძანება N 2/56;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ვებგვერდი <http://bta.edu.ge/>;
- მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით);

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2020 წლის 15 ივნისის ბრძანება N2/42
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თბილისი, წერონისის ქ.208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	50 ქ.თბილისი, წერონისის ქ.208, განხორციელების ფორმა: მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
 ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3 ➤	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

შენიშვნა: ექსპერტების მიერ 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება - შეფასებულია სრულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

როგორც ექსპერტთა მიერ დათვალიერების შედეგად დგინდება, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსით, კერძოდ, პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება:

სასწავლო გარემო A/C, რომელშიც აღჭურვილია პროექტორით, ნოუტბუქით, აუდიო სისტემით, დაფებით (მარკერის და ფლიფჩარტის), მაგიდებითა და სკამებით 26 პროფესიული სტუდენტისა და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებისას დადგინდა, რომ A/C სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას აძლევს მათ ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ორი ჯგუფი.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება სასწავლო გარემო B, რომელიც აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისა და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და B სასწავლო გარემოს დატვირთვის გადამოწმებით დადგინდა, რომ მისი დატვირთვა არ აღემატება დღეისათვის 50-60%-ს, გამომდინარე იქიდან, რომ წლიური 60 კრედიტიანი დატვირთვიდან თითოეულ პროგრამაში ინფორმაციული წიგნიერების მოდული საშუალოდ 3 კრედიტიანია.

საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს პროგრამის განხორციელებაში დამატებითი ჩართოს A გარემო, რომელიც ასევე 22 პროფესიული სტუდენტისა და 1 მასწავლებლისთვის აღჭურვილია მოთხოვნათა სრული დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ერთდროულად შესაძლებელია 25 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფა, რომლის გათვალისწინებითაც სხვა ფაქტორებთან ერთად აქვთ განსაზღვრული პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში 25 პროფესიულ სტუდენტის მიღება, ხოლო ორწლიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კი 50 პროფესიული სტუდენტისა. შესაბამისად დასტურდება რომ დაწესებულების მატერიალური რესურსები საკმარისია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ ობიექტებზე გათვალისწინებული იყო პროგრამის ფარგლებში 7 პროფესიული მოდულის (გაცნობითი პრაქტიკა, ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება, საფრთხეების და რისკების კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკების კონტროლი, სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკების კონტროლი, საწარმოო პრაქტიკა) პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა. ავტორიზაციის ექსპერტებს წინა ვიზიტის ფარგლებში ჰქონდათ რეკომენდაცია გაცემული, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა დაწესებულებას განეთავსებინა C გარემოში, რაც კოლეჯის მიერ შესრულებულია და დღეისათვის პრაქტიკული შედეგების მიღწევისთვის საჭირო აღჭურვილობა სრულადაა დაკომპლექტებული და განთავსებული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილ შესაბამის სახელოსნოში. მასში გათვალისწინებულია 25 პროფესიული სტუდენტის ერთდროული სწავლება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით რელევანტურადაა განსაზღვრული პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - ერთ ცვლაში 25 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ორწლიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კი 50 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად დასტურდება რომ დაწესებულების მატერიალური რესურსები საკმარისია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისთვის.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განხორციელების მდგრადობას, სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მოიცავს საკონტაქტო საათებს, მეცადინეობისათვის მომზადებას და საორგანიზაციო ტიპის დატვირთვას, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობას, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებას და სხვ., რაც მათთან დადებულ ხელშეკრულებაში და შინაგანაწესშია ასახული. დაწესებულებას შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს სულ 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათგან 11 დარგის წარმომადგენელი პროფესიული მოდულების განსახორციელებლად.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება, ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, რაც დასტურდება მათი პირადი საქმის შესწავლით. ვიზიტის ფარგლებში აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ იგი პერიოდულად ატარებს კონსულტაციებს და სამუშაო შეხვედრებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებში. დაწესებულებაში ინახება ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების შესახებ ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

PDF Eraser Free

რომელიც დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მისი პროფესიონალიზმი, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, თვალნათელი იყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, იგი კონსულტაციებს უწევს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, ზრუნავს პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, მონაწილეობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ასევე, საბიბლიოთეკო ჟურნალის გადამოწმებით დადასტურდა რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ, საკუთარი დაფინანსებით დაბეჭდილია 2 სასწავლო სახელმძღვანელო კონკრეტულად შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ფართში, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტების სარგებლობისთვის. ბიბლიოთეკას ემსახურება კომპეტენტური ბიბლიოთეკარი, რომელსაც კომპეტენცია უდასტურდება როგორც კვალიფიკაციით, ისე პრაქტიკული გამოცდილებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ გარემო ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებისთვის, მოწყობილია პანდუსები და სველი წერტილები. ამ ეტაპზე აკადემიას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა არსებობის შემთხვევაში მათ წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება გამოთქვამს მზაობას უზრუნველყოს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენა. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში ისინი მოიაზრებენ სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირებასაც.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების მთავარი წყაროა როგორც სწავლის საფასური ასევე ვაუჩერული დაფინანსებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ვაუჩერული დაფინანსებით არის გამოცხადებული. ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განსაზღვრულია რენტაბელობა, რომელში მითითებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

რაოდენობას აღემატება პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მატერიალური რესურსები ფლობის დოკუმენტაცია;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების ვებგვერდის www.bta.edu.ge დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ექსპერტთა მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტთა მიერ შემოწმდა ასევე კალენდარული გეგმები და ცხრილები, კალენდარული გეგმა მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული მოდულის ხანგრძლივობის, კვირეული დატვირთვის, თემატიკის, სწავლების და შეფასების მეთოდების, სასწავლო აუდიტორიის, სასწავლო ლიტერატურის და განმახორციელებელი პირის შესახებ. ექსპეტები გაესაუბრნენ სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელს, რომლებმაც ისაუბრეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებზე..


2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკ. ბრძ. N2/22; 23.03.2020) შესაბამისად აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, აკადემიაში საჭიროების მიხედვით სასწავლო ცხრილი იგეგმება პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებით, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი (უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით). კორონავირუსის COVID 19- ის გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კონკრეტული ჯგუფისთვის შეიცვალა სასწავლო გეგმა და დაჩქარებულ რეჟიმში წარიმართა სასწავლო პროცესი. დაწესებულებამ ასევე განახორციელა იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სწავლების დისტანციური მეთოდით და განახორციელა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზება, აღნიშნული ინფორმაციები გაგზავნილია ცენტრში, რაც დასტურდება გასული კორესპოდენცებით.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

35



PDF Eraser Free

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიები(მზომი ხელსაწყოები და სხვ).

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020) მუხლი N14-ით რეგულირდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: ა) პროფესიულ სტუდენტს აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, როდესაც რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს საწავლისა და შეფასებისას; ბ) პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს; გ) პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით; დ) ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ პროფესიული სტუდენტი ან არასრულწლოვანი და შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი, განცხადებით მიმართავს აკადემიის რექტორს, რის საფუძველზეც რექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი(ებ), რომელშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულ(ებ)ის განმახორციელებელი პირები, რომლებიც პროფესიული სტუდენტის ან არასრულწლოვანი და შშმ პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/პროგრამას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციის მოგროვება - სამუშაო ჯგუფის მიერ ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის შესახებ სხვადასხვა წყაროების, მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვება ან/და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო ცნობა/დასკვნა ამ სხვა მატერიალური დოკუმენტები, განახორციელოს კონსულტაცია კომპეტენტურ პირებთან (კანონიერ წარმომადგენელთან, სპეციალიტებთან და სხვ), განახორციელოს ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის პროფესიული ფაქტორების შეფასება, საყოველთაოდ მიღებული სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით. კონსულტაცია და ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი ხორციელდება ისგ/ისპ შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისპ/ისგ-ის მოსარგებლე პირი/კანონიერი წარმომადგენელი ჩართული იყოს ინფორმაციის შეგროვებისა და კონსულტაციის პროცესებში. მიმართულების/სტრატეგიის განსაზღვრა გულისხმობს სად და რა ფორმით განხორციელდება ისგ/ისპ და მოიცავს: სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივობების რელევანტურობის განსაზღვრას გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე; მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრას; სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრას; შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა/პროგრამა შეთანხმებას გადის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, რის შემდეგ ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დამტკიცებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის/პროგრამის საფუძველზე, პერსონალთან შეთანხმებით დგება შემუშავებული პროგრამის განხორციელების კალენდარი და პროგრამის განხორციელებაზე კონტროლის/მონიტორინგის განრიგი, განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო პროცესზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ისგ/ისპ-ის განხორციელების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია გადახედვა. დაგეგმილი პროცესის განხორციელების, მიღწეული შედეგების მონიტორინგი და ანალიზი. საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება მასში ცვლილება/ცვლილებები ოპტიმიზაციის მიზნით, რაც ასევე ექვემდებარება ინგ/ისპ-ით მოსარგებლე პირ(ებ)თან, მათ კანონიერ წარმომადგენელთან და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის /მენეჯერთან შეთანხმებას. განხორციელებული ცვლილებები უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებისა და აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების მიღწევას. შეთანხმებული ცვლილებებს ამტკიცებს რექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულებაში ამ პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე სსსმ სტუდენტისთვის ინდივიდუალური გეგმა არ ხორციელდება, თუმცა პანდემიის გამო დაწესებულებამ კონკრეტული ჯგუფისთვის დაჩქარებული რეჟიმით შეიმუშავა და დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარადგინა ცენტრში.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

რამდენადაც აკდემიამ თავად შეიძინა C გარემოს სრული აღჭურვილობა, მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, მათ აღარ სჭირდებათ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების გაყვანა. პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება მხოლოდ სასწავლო ექსკურსიები. (იხ. 2.2. 1.1) მოდულებში, რომლებიც პრაქტიკის ობიექტებზე უნდა განხორციელდებოდეს, გაჩნდა შესაბამისი ჩანაწერები განხორციელების ადგილის, აუდიტორიის მითითებით.

აკდემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

- შპს იუნის ქონსტრაქშენ კომპანი - ხელშეკრულების ნომერი: 7/116 გაფორმების თარიღი :02/07/2020 მოქმედების ვადა: 5 წელი
- შპს სანიტარი - ხელშეკრულების ნომერი: 7/80 გაფორმების თარიღი: 20/08/2018 მოქმედების ვადა: 5 წელი
- შპს ფრეგო - ხელშეკრულების ნომერი: 7/65 გაფორმების თარიღი :07/07/2018 მოქმედების ვადა: 3 წელი
- შპს ელ+ - ხელშეკრულების ნომერი: 7/54 გაფორმების თარიღი :05/06/2018 მოქმედების ვადა: 3 წელი
- ნ.მახვილამის სახ.შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი ხელშეკრულების ნომერი: 7/78 გაფორმების თარიღი: 10/08/2018 მოქმედების ვადა: 5 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- შპს კერა+- ხელშეკრულების ნომერი: 7/62 გაფორმების თარიღი: 26/06/2018 მოქმედების ვადა: 5 წელი
- შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი - ხელშეკრულების ნომერი: 7/53 გაფორმების თარიღი: 05/06/2018 მოქმედების ვადა: 5 წელი
- ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია ხელშეკრულების ნომერი: 7/248 გაფორმების თარიღი: 12/03/2019 მოქმედების ვადა: 2 წელი
- შპს ჯეოტურანი - ხელშეკრულების ნომერი: 7/74 გაფორმების თარიღი: 12/02/2019 მოქმედების ვადა: 2 წელი

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების განხორციელებას კოლეჯის ბაზაზე სჭირდება სპეციალური უსაფრთხოების ნორმების დაცვა, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟების უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, დაწესებულებას 2020 წლის 23 ივლისის რექტორის 2/56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში შემავალი მოდულების სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას გასათვალისწინებელ უსაფრთხოების ნორმებს, პასუხისმგებელ პირებს და ინსტრუქტაჟის დეტალებს, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმა;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ.ბრძ. N2/22; 23.03.2020);
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების “პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით“ (დამტკ. ბრძ. N2/56; 23.07.2020წ) რეგულირდება შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება, დოკუმენტი მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევას, შემუშავების და განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას. შეფასების პროცესის ადმინისტრირებას/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვებას, აღრიცხვასა და შენახვის წესს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესით“ (დამტკ. ბრძ. N2/56; 23.07.2020წ), რეგულირდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, წესის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მასზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროცესში შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტებიც, პროცესი უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. რისკების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს, როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს; ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია ყველა პირს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, შესაძლოა ცალკე გაიწეროს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩატარება.

დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა ვერიფიკაციის განხორციელების დოკუმენტი და ანალიზი, რომელიც განხორციელებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურის დაცვით. კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა წარმოადგინა ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, შეფასების პროცესის განხორციელების ვერიფიკაციის რისკფაქტორების სქემა, ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის პროცესში გამოსაყენებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე რექტორის ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნული დოკუმენტაცია და შექმნა ვერიფიკაციის ჯგუფი, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა გარეშე პირი, რომელთანაც დაწესებულებამ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებად განისაზღვრენ პროგრამის ხელმძღვანელები და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და დასკვნა რეკომენდაციებით წარედგინა რექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, შეფასების უწყისები უვადოდ ინახება, თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ აღრიცხება შესაბამისი ელექტრონულ აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია „პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის“ მიხედვით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სასწავლო მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში მათ უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები და კონსულტაციები. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად განიხილება, ხოლო კონკრეტული პროფესიული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „მშპ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი“(23.07.2020 წ. N2/56 ბრძანებით დამტკიცებული);
- ვერიფიკაციის კითხვარები და ვერიფიკაციის პროცესის დამადასტრებელი სხვა დოკუმენტაცია;
- შეფასების მტკიცებულებები;
- მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალი;
- შეფასების უწყისები, აღრიცხვის ჟურნალი.
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა: 42

05.10.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

45
